ევროკავშირი
საქართველოსთვის

german cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

DW Akademie

მედიის, ინფორმაციის და
სოციალური კვლევების ცენტრი

ჟურნალისტების უსაფრთხოება 2024 წლის არჩევნების წინ

თბილისი

2024

ჟურნალისტების უსაფრთხოება 2024 წლის არჩევნების წინ

2024 წლის სექტემბერი

ავტორები:

ეკატერინე ბასილაია
ანა ქეშელაშვილი

დიზაინი:

მახარე აჭაიძე

მადლობა

ავტორებს სურთ, მადლობა გადაუხადონ ელენე ერგეშიძეს დოკუმენტში წარმოდგენილი რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზში გაწეული დახმარებისათვის.

წინამდებარე მასალა მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადაფინანსებით. ამ მასალის შინაარსი “მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის” პასუხისმგებლობაა და არ გამოხატავს ევროკავშირის და გერმანიის ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი.....4

კვლევის შესახებ.....5

გამოკითხვა.....5

გამოკითხვის მონაწილეთა პროფილი.....5

ინტერვიუები.....6

ჟურნალისტები საკუთარი თავის იმედად.....6

ჟურნალისტები საპროტესტო აქციებზე.....10

ჟურნალისტები - მუქარის, დისკრედიტაციის, დეზინფორმაციისა და ფარული მიყურადების სამიზნე 11

ჟურნალისტები საჯარო ინფორმაციასა და დაწესებულებებზე წვდომისთვის ბრძოლაში.....16

“უცხოეთის აგენტების შესახებ” კანონის გავლენა და ჟურნალისტების მოლოდინები.....18

შეჯამება.....21

წყაროები.....22

შესავალი

2024 წლის არჩევნების მოახლოებას ჟურნალისტები მკვეთრად გაუარესებულ მედიაგარემოში ხვდებიან. ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2024 წლის პრესის თავისუფლების ანგარიშის თანახმად, ქვეყნის ქულა მნიშვნელოვნად დაეცა 2024 წელს. თუ 2023 წელს ქვეყანა 180-დან 77-ე ადგილზე იყო 61,69 ქულით, 2024 წელს 53,05 ქულით 103-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ვითარების დამძიმება უმეტესწილად განპირობებულია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, იგივე „უცხოეთის აგენტების“ კანონის მიღებით, რომელსაც ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა “რუსული კანონი” შეარქვა. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ კანონი ორჯერ დააინიცირა, პირველად 2023 წელს, როდესაც მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტის და საერთაშორისო კრიტიკის ფონზე უკან გაიწვია, მეორეჯერ კი 2024 წელს, როდესაც მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტის და საერთაშორისო ორგანიზაციების თუ ოფიციალური პირების კრიტიკის მიუხედავად კანონი მაინც მიიღო.

მედიის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების და ექსპერტების შეფასებით, კანონი მიზნად ისახავს დამოუკიდებელი მედიის სტიგმატიზებას და მარგინალიზებას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების და სამოქალაქო სივრცის შეზღუდვას. ნიშანდობლივია, რომ “უცხოეთის აგენტების” ხელახალი მიღება საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე მოხდა.

2023 წლის ნოემბერში საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. თუმცა, „უცხოეთის აგენტების“ კანონის მიღების შემდეგ, 2024 წლის 27 ივნისის, ევროპული საბჭოს დასკვნაში ნათქვამია, რომ ““უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” მიღებული კანონი კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციაში მითითებულ ნა-ბიჯებთან მიმართებაში უკუსვლას წარმოადგენს. ევროპული საბჭო მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, სიცხადე შეიტანოს თავის განზრახვებში, არსებულ მოქმედებათა კურსის ცვლილების საშუალებით, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას და გაწევრიანების პროცესი ფაქტობრივად გაჩერებამდე მიჰყავს”.

“უცხოეთის აგენტების” კანონის განხილვის და მიღების პროცესი მრავალათასიანი მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. აქციების გაშუქების დროს არაერთ ჟურნალისტს შეეშალა ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელი და გახდა ძალადობის მსხვერპლი. გარდა ამისა, ჟურნალისტები საქართველოს მოქალაქეთა იმ ნაწილთან ერთად, რომლებიც კანონს აპროტესტებდნენ, სატელეფონო შეურაცხყოფის,

მუქარის, ქუჩაში დახვედრისა და ცემის, სახლთან თუ ოფისებთან შეურაცხმყოფელი შინაარსის პოსტერების გაკვრის ადრესატები გახდნენ. სახალხო დამცველის განცხადებით, *"ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებზე, ჟურნალისტებსა და აქციის მონაწილეებზე თავდასხმის ფაქტებში იკვეთება პოლიტიკური, საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით ადამიანთა დევნის ნიშნები"*.

გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის, Freedom House-ის Nations in Transit 2024 ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ქულა უცვლელი რჩება გასული წლიდან - 3,04 თუმცა, *„ისეთი ავტოკრატიზებული ჰიბრიდები, როგორიცაა უნგრეთი, სერბეთი და ნაკლებად საქართველო - კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმებად გადაქცევის გზას ადგანან ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით".*

„მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის" წინამდებარე კვლევა ასახავს საქართველოში ჟურნალისტების უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოცდილებას და მდგომარეობას არჩევნების წინა პერიოდში. ანგარიში დეტალურად შეისწავლის იმ რისკებს, გამოწვევებსა, საფრთხეებსა და მოლოდინებს, რომელთა წინაშეც დგანან მედიის წარმომადგენლები. დასკვნები გვაჩვენებს მედიას, რომელსაც უწევს ბრძოლა საკუთარი გადარჩენისთვის და დემოკრატიის შენარჩუნებისთვის მზარდი ავტორიტარიანიზმის პირობებში.

კვლევის შესახებ

კვლევისას გამოყენებული იყო კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები.

გამოკითხვა

კვლევის ფარგლებში მკვლევართა გუნდმა 2024 წლის ივნისსა და ივლისში შეაგროვა რაოდენობრივი მონაცემები კითხვარის მეშვეობით. კითხვარი, რომელშიც გამოყენებულია ჟურნალისტთა ევროპული ფედერაციის (EFJ) კითხვარი ჟურნალისტთა უსაფრთხოებაზე, 26 კითხვისგან შედგებოდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 106-მა რესპონდენტმა. კითხვარი გაზიარდა ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებების ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან. გამოკითხვაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი და ანონიმური. ონლაინ გამოკითხვის შედეგები არაწარმომადგენლობითია.

გამოკითხვის მონაწილეთა პროფილი

კვლევაში ყველაზე ფართოდ 25-დან 34 წლამდე ასაკობრივი ჯგუფია წარმოდგენილი (44%), შემდეგი დიდი ჯგუფია 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფი (33%,). გამოკითხულთა სამი მეოთხედი (75%, 106-დან 79) იყო ქალი. გამოკითხვაში ძირითადად წარმოდგენილი არიან რეპორტიორები (45%), მულტიმედია ჟურნალისტები (22%), რედაქტორები (21%), და გადაცემის წამყვანები (19%). გამოკითხულთა ნახევარზე მეტი თბილისში მუშაობს (63%). კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტს 10 წელზე

მეტი მუშაობის გამოცდილება აქვს მედიაში, ხოლო მეოთხედს, 6-დან 10 წლამდე. მონაწილეთა 59% ონლაინ მედიაშია დასაქმებული, 49% ტელევიზიებში, 10% რადიოსა და 4% გაზეთში (ამ კითხვაზე რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ). გამოკითხულთა 93% კვლევის განხორციელების პერიოდში სრულ განაკვეთზე მუშაობდა.

ინტერვიუები

კვლევის თვისებრივი მონაცემები სიღრმისეული ინტერვიუების სახით შეგროვდა. ინტერვიუები ჩატარდა მედიასაშუალებების 15 წარმომადგენელთან. ისინი მუშაობენ როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ მედიასაშუალებებში, მათ შორის ტელევიზიაში, ონლაინმედიებში, რადიოსა და ბეჭდურ მედიაში, რომლებიც მდებარეობს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ჟურნალისტები საკუთარი თავის იმედად

"არავინ არ მიცავს, ვარ ჩემთვის, ვცხოვრობ, ვიცით, რომ პოლიცია არსებობს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს პოლიცია, როცა ძალიან გვიჭირს, არ დაგვეხმარება," ამბობს ერთ-ერთი მედიაორგანიზაციის დირექტორი, რომელიც აპრილსა და მაისში მიზანმიმართული თავდასხმების ობიექტად იქცა.

"პატრულს რომ გამოიძახებდი და არ მოსულიყო, ასეთი შემთხვევა არ მახსენდება, ამიტომ ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ მედიას პირდაპირ აგრძნობინებენ, რომ შენ ხარ დაუცველი თუ ამ საქმეს ისევე გააგრძელებ, როგორც აკეთებდი." ეს ციტატა ერთ-ერთი კრიტიკული ტელევიზიის ჟურნალისტს ეკუთვნის, რომელიც მაისში მომხდარ შემთხვევას იხსენებს. მათ ტელეკომპანიის გარეთ ავტომობილებში მჯდომი ნიღბიანი პირებისგან პოტენციური საფრთხის შესახებ პოლიციას არაერთხელ შეატყობინეს, თუმცა - უშედეგოდ.

ეს შემთხვევა სხვა ჟურნალისტებმაც გაიხსენეს და როგორც ერთ-ერთმა აღნიშნა, *"ეს თავზარდამცემია - სახელმწიფო ინსტიტუტი ფორმალურადაც კი არ მოდის შენთან".*

კვლევაში მონაწილე ჟურნალისტები ამბობენ, რომ ბოლო წლებში, განსაკუთრებით აქტუალურად დგას მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოების საკითხი, რაც პირდაპირ კავშირშია მედიის თავისუფლების საკითხთან. მათი თქმით, დაუცველობის გრძნობას განაპირობებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კლიმატი, საკანონმდებლო ცვლილებები და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობაზე სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო რეაგირება, ხელისუფლების მხრიდან მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული კამპანია და ზოგადად გამოხატვის თავისუფლებისთვის სივრცის შევიწროება.

“გამოხატვის თავისუფლება არ არის უსაფრთხო, უკვე იზღუდება ქვეყანაში სხვადასხვა გზითა და საშუალებებით,” ამბობს ერთ-ერთი ონლაინ მედიის რედაქტორი.

“თუ ხარ ჟურნალისტი, შენი საქმიანობის გამო ხარ საფრთხის ქვეშ. თემასაც არ აქვს მნიშვნელობა. რაკი ჟურნალისტი ხარ, ესე იგი ცუდი ხარ და ეს განსაკუთრებით შეიცვალა კანონის ინიცირების შემდეგ,” აღნიშნავს ერთ-ერთი ონლაინ მედიის რედაქტორი.

“გარემო არის იმდენად მტრული მედიისთვის, რომ ხანდახან მეტისმეტად საშიშიც, რადგან ყველა ხელისუფლებას, რაც კი იყო აქამდე საქართველოში მეტ-ნაკლებად რაღაცა მუხრუჭები ჰქონდა. მაგალითად, მნიშვნელოვანი იყო დასავლეთის აზრი და გადაწყვეტილებები…. ახლა ვითარებას ის ამძიმებს, რომ ჩვენი ხელისუფლება გასულია ანგარიშვალდებულების ყველა სისტემიდან,” ამბობს ერთ-ერთი ტელეკომპანიის დირექტორი.

კვლევის რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ საქართველოში ჟურნალისტებისთვის უსაფრთხოების საკითხებმა წინა პლანზე 2021 წლის 5 და 6 ივლისის მოვლენების შემდეგ გადმოინაცვლა, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებზე მასობრივი თავდასხმა განახორციელეს ჰომოფობიურმა, პრორუსულმა ჯგუფებმა. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით დანაშაულის ინიციატორები დღემდე არ არიან დასჯილები.

კვლევის ერთი მონაწილის თქმით, თუკი აქამდე მედიის მთავარ გამოწვევებს შორის ფინანსური სტაბილურობის არქონა, ორგანიზაციული მდგრადობა, ინფორმაციაზე წვდომა იყო, დღეს უსაფრთხოება დაემატა ამ საკითხებს და იგი გაცილებით მნიშვნელოვანია.

ზოგადად, რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს პროფესიული მოვალეობების განხორციელების პროცესში? (%)



გამოკითხული ჟურნალისტების 47% პროფესიული მოვალეობის შესრულებისას თავს დაუცველად გრძნობს. 42% აცხადებს, რომ თავს არც დაუცველად და არც დაცულად გრძნობს, დაცულად თავს მხოლოდ 11% მიიჩნევს. ამასთანავე, 91%-ს მიაჩნია, რომ როგორც მედიის წარმომადგენელი უფრო მეტად არის საფრთხის ქვეშ, განსხვავებით სხვა პროფესიის მქონე ადამიანებისგან. დაუცველობის განცდა მსგავსია რეგიონსა და თბილისში, თუმცა, თუკი თბილისში მომუშავე ჟურნალისტების ნახევარზე მეტი - 52% ამბობს, რომ თავს ძალიან დაუცველად (13%) ან დაუცველად გრძნობს (39%), რეგიონული მედიების წარმომადგენლებს შორის 38% მიიჩნევს, რომ თავს ძალიან დაუცველად (10%) ან დაუცველად (28%) გრძნობს.

როგორც ინტერვიუების, ასევე გამოკითხვის შედეგებმა წარმოაჩინა ის მძიმე გამოცდილება, რაც მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა მიიღეს ბოლო 6 თვის განმავლობაში. ამ კვლევისთვის გამოკითხულმა ერთმა ექსპერტმა - ერთ-ერთი ონლაინ მედიის დამფუძნებელმა და რედაქტორმა განაცხადა: *"...სამუშაო გარემო გახდა ტოქსიკური და უკიდურესად საფრთხისშემცველი".*

"*დიდი გამოწვევაა, რომ შეიძლება ქუჩაში დაგვხვდეს ვინმე. ამ დროს ძალიან რთულია, ყოველდღე რომ გადიხარ ქუჩაში და ამაზე უნდა იფიქრო,*" ამბობს ერთ-ერთი ონლაინ მედიის ჟურნალისტი ჩვენთან საუბარში.

"ქუჩაში შეიძლება გახვიდე მიკროფონით და იმიტომ რომ მიკროფონით გიჭირავს ხელში ვიღაცამ გცემოს, მოგკლას და არავინ არ გააჩერებს ამას. მუდმივი თავდასხმები, შეურაცხყოფები, გაშავება, პირად ცხოვრებაში ჩარევა, მოსმენები, ძალიან ძნელია", აღნიშნავს ერთ-ერთი ტელევიზიის დირექტორი და ჟურნალისტი.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თუ წინა წლებში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად აგრესიის სამიზნე კრიტიკული ტელეკომპანიების ჟურნალისტები იყვნენ, ეს დამოკიდებულება ბოლო პერიოდში ონლაინ მედიაზეც გავრცელდა: "ახლა რაღაც ჩვენ უფრო პრიორიტეტი გავხდით [...] როცა მანამდე საერთოდ არ აინტერესებდათ, ონლაინ მედიაში რა იწერებოდა."

რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს შემდეგ ადგილებში? (%)



ჟურნალისტები ყველაზე უსაფრთხოდ სახლსა და სამსახურში გრძნობენ თავს. 51% უსაფრთხოდ გრძნობს თავს სახლში, ხოლო 36% - რედაქციაში/ოფისში, მხოლოდ 18% ამბობს, რომ რედაქციაში/ოფისში ძალიან უსაფრთხოდ გრძნობს თავს. სახლში ყოფნისას ძალიან დაუცველად 29% მიიჩნევს თავს. არცერთმა არ დაასახელა სახლი, როგორც ძალიან უსაფრთხო ადგილი. მნიშვნელოვანია, რომ რედაქციაში/ ოფისში ყოფნისას ძალიან დაუცველად (2%) და დაუცველად (8%) ყოფნა მხოლოდ ქალებმა დაასახელეს. მასალის ადგილზე მოპოვების პროცესში ჟურნალისტების 47% დაუცველად, ხოლო 9% ძალიან დაუცველად გრძნობს თავს. ონლაინ სივრცე გამოკითხულთაგან მხოლოდ 14%-მა დაასახელა როგორც ძალიან უსაფრთხო ან უსაფრთხო სივრცე.

ზეწოლის მიუხედავად, ჟურნალისტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პირადად მათზე ნაკლები ზეგავლენა აქვს თავდასხმებს, თუმცა, მოქმედებს ორგანიზაციის უსაფრთხოების პოლიტიკაზე, რომელიც როგორც ერთ-ერთი ჟურნალისტი ამბობს, გაძლიერდა *,,უფრო მეტი განხილვა გვაქვს პროტესტზე გასვლის წინ, რა სახის აღჭურვილობა მიგვაქვს, ხშირად ვეკითხებით ერთმანეთს სად ვართ, მშვიდობიანად ვართ თუ არა; მოვიმარაგეთ იურისტების კონტაქტები, რაღაც რომ დაგვჭირდეს.*"

კიდევ ერთი რესპონდენტის თქმით, მის რედაქციაშიც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად: "*აქციებისთვის უფრო მეტი ეკიპირებით მოვემზადეთ, ტრენინგებიც გავიარეთ, ფსიქიკური კუთხითაც რაღაც სერვისები არის, ამ კუთხით მედეგობა ცოტა უფრო გაიზარდა.*"

ჩემი მედია-ორგანიზაცია ზოგადად: (%)



შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ ერთზე მეტი პასუხი მოენიშნათ.

გამოკითხულთა 71%, ამბობს, რომ მისი ორგანიზაცია ხელმძღვანელობს წესებითა და რეგულაციებით თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად. 52%-ის თქმით ორგანიზაცია უზრუნველყოფს დამცავ აღჭურვილობას სახიფათო დავალებების შესრულებისას, 46%-ის თქმით კი უზრუნველყოფს სამართალდამცავების მხრიდან დაკავების ან არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სამართლებრივ დახმარებას; 42% ამბობს, რომ მისი ორგანიზაცია აკეთებს რისკების შეფასებას სახიფათო დავალებებამდე. ემოციური ზიანის შემთხვევაში დახმარების მიღების შესაძლებლობა საკუთარი ორგანიზაციიდან მხოლოდ 15%-მა დაასახელა. მხოლოდ 6%-მა დაასახელა ფონდი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ჟურნალისტების დასახმარებლად.

საპროტესტო აქციების გაშუქებისთვის რესპონდენტებს საჭირო მომზადება ორგანიზაციების უმრავლესობამ შესთავაზა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი - 52% მოემზადა რისკების შეფასებისთვის დემონსტრაციების გაშუქების დროს, 38%-მა შეისწავლა სპეციალური აღჭურვილობის გამოყენება, ასევე 38-მა გაიარა რედაქტორებთან კოორდინაციის პროტოკოლი,

34%-მა პროცენტმა შეისწავლა გადაუდებელ სიტუაციაში მოქმედების პროტოკოლი, 29%-მა ციფრული უსაფრთხოების ინსტრუმენტები, 27%-მა გაიარა სამართლებრივი მომზადება საკუთარი უფლებების უკეთ გასაცნობად გაშუქების დროს ან/და დაკავების შემთხვევაში და სხვა. მხოლოდ 6%-მა დაასახელა, რომ გაიარა სტრესის მენეჯმენტის ტრენინგი.

ჩამოთვლილთაგან, დემონსტრაციების გაშუქებისთვის რა ტიპის მომზადება შემოგთავაზათ თქვენმა ორგანიზაციამ.

(% იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც მონიშნეს, რომ მონაწილეობდნენ/ აშუქებდნენ აქციებს, რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა)



სულ 93 რესპოხდეხტი.

ჟურნალისტები საპროტესტო აქციებზე

"რომ მითქვამს, ჟურნალისტი ვარ, პრესა ვარ, რეაქცია შეცვლილა, არ შეეხო, გაუშვი, ამბობდნენ. ახლა რასაც ვუყურებ, პირიქითაც არის", გვიყვება ერთ-ერთი ონლაინ მედიის ჟურნალისტი.

საპროტესტო აქციებზე მუშაობის პერიოდში ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის სხვა ფაქტებსაც იხსენებენ ჩვენი რესპონდენტები:

"ზუბალაშვილების ქუჩაზე ვიდექი, უცბად შემოვარდნენ [სპეცდანიშნულების რაზმი] გაფრთხილების გარეშე, დავინახე, რომ ვიღაცას სცემდნენ. რომ დამინახეს, ერთმა მეორეს დაუძახა, მოაშორე აქედანო, და გამაგდეს", ამბობს ონლაინ მედიის რედაქტორი.

ერთ-ერთი ტელევიზიის დირექტორი აღნიშნავს, რომ *"...ბევრად უფრო დაუნდობელი იყო სისტემა ამ აქციების დროს."* ონლაინ მედიის ჟურნალისტი კი ამბობს, რომ "*წელს ძალიან გაიზარდა ეგეთი შემთხვევები, რომ მუშაობის საშუალებას არ გაძლევენ.*"

"თვალთვალს რაც შეეხება. ზუსტად ვიცით, რომ სამსახურის წინ დგას ვერცხლისფერი მანქანა, რომელიც ვიცით, რომ მუდმივად გვითვალთვალებს. მაგრამ მივეჩვიეთ თითქოს ამას", ამბობს ერთ-ერთი რეგიონული მედიის დირექტორი.

კითხვაზე, როგორ გრძნობდნენ თავს "აგენტების შესახებ" კანონის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციების გაშუქების დროს, გამოკითხული 93 რესპონდენტიდან, 42% ამბობს, რომ ძალიან დაუცველად, ხოლო 38% დაუცველად, მხოლოდ 2%-მა აღნიშნა, რომ დემონსტრაციების გაშუქებისას თავს დაცულად გრძნობდა.

რამდენად უსაფრთხოდ გრძნობ(თ)დით თავს დემონსტრაციების გაშუქებისას:
(% იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც მონიშნეს, რომ მონაწილეობდნენ /აშუქებდნენ აქციებს)



გამოკითხულთა 61% ამბობს, რომ მათ ან/და მათ თანამშრომელს გამოუცდია პოლიციის/ სპეცრაზმის მხრიდან შევიწროება. გამოკითხულთა 42%-ს ან/და მათ თანამშრომელს გამოუცდიათ ფიზიკური თავდასხმა. რესპონდენტების 39%-ს ან/და მათ თანამშრომლებსაც გამოუცდიათ თვალთვალი. რესპონდენტთა 30%-ის თქმით მათთვის ან/და მათი თანამშრომლისთვის დაუზიანებიათ პირადი ქონება, ხოლო 18%-ის თქმით, თვითონ ან/და მათ თანამშრომლებს გამოუცდიათ ჩასაფრება.

ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოგიცდიათ თუ არა თქვენ ან თქვენს თანამშრომელს შემდეგი (უნდა უკავშირდებოდეს ჟურნალისტურ საქმიანობას)? (%)



ჟურნალისტები – მუქარის, დისკრედიტაციის, დეზინფორმაციისა და ფარული მიყურადების სამიზნე

"უცხოელი აგენტების" შესახებ კანონპროექტის განხილვის პროცესი მრავალათასიანი მშვიდობიანი საპროტესტო აქციების პარალელურად ჟურნალისტებთან, სამოქა-ლაქო საზოგადოების და ოპოზიციის წარმომადგენლებთან და მოქალაქეებთან

განხორციელდა შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი სატელეფონო ზარები. ორი გამომძიებელი ჟურნალისტის და სამოქალაქო სექტორის რამდენიმე წარმომადგენლის სახლსა და სამსახურთან და მანქანებზე, უცნობმა პირებმა გააკრეს შეურაცხმყოფელი პლაკატები და გააკეთეს ასეთივე შინაარსის წარწერები. ფიზიკური ძალადობა საზოგადოებრივ სივრცეში ხორციელდებოდა ჟურნალისტებზე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე და აქტივისტებზე.

კანონის განხილვის პერიოდში ან შემდეგ: (%)



გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების 33%-მა მიიღო სატელეფონო ზარი, რა დროსაც მათ წინააღმდეგ გაჟღერდა მუქარა ან შეურაცხყოფა. 17%-მა აღნიშნა, რომ თვითონაც და მისმა ოჯახის წევრმა (ებმაც) მიიღეს სატელეფონო ზარი და იყვნენ მუქარის და შეურაცხყოფის ადრესატები. გამოკითხულთა 8% ამბობს, რომ არც თავად და არც მისმა ოჯახის წევრმა(ებმა) უპასუხეს უცხო ზარებს.

სატელეფონო ზარები "გენერირებული" უცნობი ნომრებიდან შემოდიოდა ჟურნალისტებთან, აქტივისტებთან, რიგით მოქალაქეებთან და მათი ოჯახების წევრებთან, რომელთაც ემუქრებოდნენ მათი საქმიანობისა თუ უბრალოდ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამო.

“ერთ-ერთი პირველი ზარები როცა გავრცელდა, დედაჩემთან იყო, უკრაინის ზარები მქონდა. ჩემთან არ შემოსულა ზარი”, ამბობს რეგიონული რადიოს დირექტორი.

“დილას, შუადღეს, საღამოს, შუაღამეს - ჩემს თანამშრომლებს ურეკავდნენ. ჟურნალისტებს ურეკავდნენ, [ჟურნალისტის] დედასაც ურეკავდნენ, აგინებდნენ, საშინელება იყო... ეუბნებოდნენ შენ არ გიყვარს სამშობლო, მოღალატე ხარ...“, ამბობს რეგიონული ონლაინ მედიის რედაქტორი. იგი ვარაუდობს, რომ მსგავსი ზარები როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე ხორციელდებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მისი თქმით, ადგილობრივი პირები იღებდნენ მონაწილეობას.

"თავიდან არ ვიცოდი რა ხდებოდა და ორჯერ ვუპასუხე და ორჯერვე საოცარი გინებები მოვისმინე და ძირითადი მესიჯი იყო, რუსულ კანონს რატომ ეძახი კანონს, რომელიც სინამდვილეში არის ევროპული გამჭვირვალობის კანონი", ამბობს ერთ-ერთი მედიაორგანიზაციის დირექტორი.

რესპონდენტთა 78%-მა დაასახელა შეურაცხყოფა/სიძულვილის ენის გამოყენების გამოცდილება, აქედან 56% ამბობს, რომ მსგავსი გამოცდილება ჰქონია თავადაც და მის თანამშრომელსაც. 52%-ის თქმით, მას ან/და მის თანამშრომელს გამოუცდია დაშინება/მუქარა

ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოგიცდიათ თუ არა თქვენ ან თქვენს თანამშრომელს შემდეგი (უნდა უკავშირდებოდეს ჟურნალისტურ საქმიანობას)? (%)



ციფრულ სივრცეში. რეპუტაციის შელახვას გამოკითხულთა 45% ასახელებს. სიტყვიერი დაშინება/მუქარის გამოცდილება რესპონდენტთა 44%-მა დაასახელა. ყველა ტიპის ინციდენტს ქალებიც და მამაკაცებიც, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში მეტ-ნაკლებად ერთნაირად ასახელებენ.

გამომძიებელი ჟურნალისტების (და არა მხოლოდ) სახლებთან, სამსახურებთან და მანქანებზე გაკეთებული მადისკრედიტებელი და შეურაცხმყოფელი წარწერების და პლაკატების საქმეები არ გამოძიებულა.

"ეს იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლება ვერ გვიტანს, სიძულვილი აქვს ჩვენს მიმართ...ამგვარი ქმედებით ხელისუფლება ცდილობს სიძულვილი გააღვივოს იმ თემში, მათ შორის, სადაც შენ ცხოვრობ. შენს მიმართ სიძულვილი გააღვივოს," ამბობს ონლაინ მედიის დამფუძნებელი და რედაქტორი.

გამოკითხულთა 82%-მა აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან მომავალი აგრესია მათ მიმართ გაზრდილია, აქედან 53% პროცენტი ამბობს, რომ საგრძნობლად გაზრდილია, ხოლო 29%-ის თქმით მეტ-ნაკლებად გაზრდილია. რეგიონებთან შედარებით თბილისში მოქმედ მედიასაშუალებების წარმომადგენლებს შორის უფრო მაღალია ხელისუფლების მხრიდან გაზრდილი აგრესიის აღქმა (91% თბილისი და 66% რეგიონები).

კვლევაში მონაწილე ჟურნალისტები ამბობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მათ წინააღმდეგ ხშირად ავრცელებენ დეზინფორმაციას. განსაკუთრებით ხშირია პროსახელისუფლებოჯგუფებისმიერწარმოებული დეზინფორმაციული კამპანიები სოციალურ ქსელებში. ერთ-ერთი რეგიონული მედიის რედაქტორი ხაზს უსვამს, რომ "*კომენტარებში და ონლაინ კომენტარებში - აბულინგებენ და თქვენ რა ჟურნალისტები ხართ, გვეუბნებიან. ეს უკვე ძალიან ჩვეულებრივი ამბავი არის.*"

"["აგენტების შესახებ"] კანონი რომ მიიღეს, პირდაპირ დაგვიწერეს, თქვენ არ დაიხურეთ?", აღნიშნა ერთ-ერთი ონლაინ მედიის დირექტორმა.

ერთ-ერთი ტელეკომპანიის დირექტორმა და ჟურნალისტმა ინტერვიუში ახსენა, რომ მისი ტელევიზიის "ტიკ-ტოკის" გვერდზერეგულარულად პოსტავენ "სამთავრობო პროპაგანდისტები", რათა მათ მიერ გავრცელებულ მასალის შინაარსზე შექმნან არასწორი განწყობები.

"ადრე შეიძლება რაღაც ირონიულად ეთქვათ, კომენტარი გაეკეთებინათ, მაგრამ ისე რომ მოგვიძღვნან რაღაც პოსტი, ერთ ჩვეულებრივ დღეს აღმოაჩენ, რომ დაგდეს და დაგათარგეთეს. ეს არ არის უბრალოდ გაბრაზებული კომენტარი, ვხედავთ, რომ რაღაც აჯენდაში ვართ", ამბობს ერთ-ერთი ონლაინ მედიის ჟურნალისტი.

"ტროლ-ფეიჯი რომ არის „სინამდვილეში" პირადი ფოტოების დადებით, შეურაცხმყოფლად საკმაოდ, დამამცირებელი და აგრესიული ფორმებით წერენ ჩვენზე", ამბობს, ერთ-ერთი ონლაინ მედიის რედაქტორი.

ონლაინ-მედიის თანადამფუძნებლის თქმით, 2024 წელს ორჯერ მოხვდა მისი მედიასაშუალება „სინამდვილეშის" გვერდზე - ერთხელ მედიასაშუალების მთავარი რედაქტორი, მეორედ მისი ჟურნალისტი. *"...ჰეით-კამპანია გამოვიდა, ატრიალეს პრო-სამთავრობო მედიებმა და ფეიჯებმა წაიღეს"*, ამბობს ონლაინ მედიის რედაქტორი.

ფეისბუკგვერდი "სინამდვილეში" პარტია "ქართული ოცნების" კომუნიკაციების დეპარტამენტის პლატფორმას წარმოადგენს, რომელიც 2021 წლის 9 ივნისს შეიქმნა. გვერდი შესახებ განყოფილებაში წერია, რომ ის ახდენს პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული სიახლეების გადამოწმებას და გავრცელებულ დეზინფორმაციაზე გამოხმაურებას. ამისთვის კი იმ სხვადასხვა მედიასაშუალების გამოვლენას ისახავს მიზნად, რომელიც დეზინფორმაციის გამტარია. ფაქტების დამოუკიდებელი გადა-მოწმების პლატფორმა "მითების დეტექტორის" თანახმად, "სინამდვილეშის" გვერდზე დაფინანსებული პოსტები TV პირველის და "მთავარი არხის" წინააღმდეგ გვხვდება.

კვლევაში მონაწილე ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ "აგენტების კანონის" ინიცირების შემდეგ ისინი მასობრივი ფარული მიყურადების ქვეშ არიან.

"ზოგჯერ შეიძლება დაცული ქსელებითაც კი გვისმენდნენ. ჩვენ კი ვცდილობთ, რომ მაქსიმალური უსაფრთხოების წესების დაცვით გვქონდეს კომუნიკაცია, არა ღია წყაროებით, არამედ ე.წ. დაცული ქსელებით, მაგრამ ბევრი შემთხვევა მახსენდება უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში როცა რაღაც განსაკუთრებულ თემებზე რესპონდენტებს შევუთანხმდი შეხვედრაზე, ჩავედი ადგილზე, მაგრამ დამასწრო მისვლა ხელისუფლებისგან გაგზავნილმა პირებმა და ჩამიშალეს ეს შეხვედრა", ამბობს რეგიონული ონლაინ მედიასაშუალების წარმომადგენელი.

ერთ-ერთი ონლაინ მედიის მთავარმა რედაქტორმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც მისი კოლეგების საუბრის შინაარსი ერთ-ერთი პროსახელისუფლებო ტელეკომპანიის ჟურნალისტმა შეატყობინა. მისი თქმით *"ეს არის გარემო, სადაც უსაფრთხოდ თავს არსად არ გრძნობ"*. მისი კოლეგები აღნიშნავენ, რომ ამით "*სატელეფონო მოსმენა ცალსახად დამტკიცდა,*" თუმცა, სიახლედ მიიჩნევენ იმას, რომ ფარული მიყურადებითმიღებულიინფორმაციავრცელდება და "*რომ დაგთრგუნონ და გადაგიარონ თავის სამთავრობო მედიას აწვდიან ინფორმაციას.*"

გამოკითხულთა 54%-მა თქვა, რომ დეზინფორმაციული კამპანიის ადრესატი ყოფილა თვითონ ან/და მისი თანამშრომელი. რესპონდენტების 39% ასახელებს მობილური ტელეფონით მიყურადებას, 25% დაჰაკვის გამოცდილებას, 24%-ის თქმით ყოფილა კიბერთავდასხმის ადრესატი. კომპიუტერით მიყურადება რესპონდენტთა 16%-მა დაასახელა.

ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოგიცდიათ თუ არა თქვენ ან თქვენს თანამშრომელს შემდეგი (უნდა უკავშირდებოდეს ჟურნალისტურ საქმიანობას)? (%)



ჟურნალისტები საჯარო ინფორმაციასა და დაწესებულებებზე წვდომისთვის ბრძოლაში

ზოგადად, ინფორმაციაზე წვდომის პრობლემა, როგორიცაა მაგალითად კომენტარის მიღება, პრობლემად დაასახელა გამოკითხულთა 82%-მა. აქედან 58% ამბობს, რომ მასაც და მის თანამშრომელსაც ჰქონია მსგავსი გამოცდილება. რესპონდენტთა 79%-მა დაასახელა საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის გამოცდილება, 61%-მა კი საჯარო უწყებებში შესვლის შეზღუდვის გამოცდილება. საჯარო უწყებებში შეღწევის შეზღუდვის გამოცდილება უფრო ხშირად დასახელდა თბილისში (76%), ვიდრე რეგიონებში (36%).

ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოგიცდიათ თუ არა თქვენ ან თქვენს თანამშრომელს შემდეგი (უნდა უკავშირდებოდეს ჟურნალისტურ საქმიანობას)? (%)



"საჯარო ინფორმაციას რომ არ გვაწვდიან, ინტერვიუებზე ვერ ვიბარებთ, არანაირი საშუალება აღარ დაგვრჩა, რომ მთავრობას რაღაცა ვკითხოთ, ადრე პატარა კომენტარებს რომ გვაძლევდნენ ხოლმე, ეგეც შეუძლებელია. ამის მაგალითს იღებენ სხვებიც," აღნიშნავს ერთ-ერთი ონლაინ მედიის ჟურნალისტი, რომელსაც მაგალითად მოჰყავს ერთ-ერთი მსხვილი კერძო კომპანია, რომლისგანაც მრავალწლიანი პროფესიული ურთიერთობის მანძილზე ინფორმაციის მოპოვება დღემდე პრობლემა არ ყოფილა. *"ბოლო წელს, რამდენჯერაც დამჭირდა, ამბობენ, რომ კი, მივიღეთ კითხვები, მაგრამ არ მაწვდიან ან დროზე არ მაწვდიან, არანაირი ინტერესი არ აქვთ. სხვებისგანაც მსმენია ეს."*

რეგიონული ონლაინ მედიის რედაქტორი უფრო გლობალურად აფასებს მედიის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებას: *"თუ შენ საჯარო ინფორმაციას არ გაძლევს ხელისუფლება, არ მოდის შენთან არანაირ ურთიერთობაზე, ეს ახშობს სიტყვის თავისუფლებას."*

"მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების" ცენტრის მიერ წარმოებული მონიტორინგის თანახმად, 2023-2024 წლებში საქართველოში სხვადასხვა მედიაორგანიზაციების მიერ საჯარო უწყებებისგან გამოთხოვილ 1863 წერილს პასუხი მხოლოდ 764 შემთხვევაში გაეცა კანონით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში, 762 მოთხოვნა კი პასუხის გარეშე დარჩა.

კომენტარზე უარის თქმა ხშირია ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. წლებია, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლები უარს აცხადებენ წინასაარჩევნო დებატებში პროოპოზიციურ არხებზე მონაწილეობაზეც. საზოგადოებრივი მედიის ჟურნალისტის თქმით, ეს განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში აზარალებს საინფორმაციო გარემოს და ადამიანებს, რომელთაც ინფორმაცია სჭირდება, რომ გააკეთოს არჩევანი: *"ჯანსაღი პოლემიკისთვის არ არის სივრცე. პრობლემაა ის, რომ [წინასაარჩევნო] დებატში მეორე მხარე არ გყავს და პოლემიკაც აღარ გამოდის."*

2023 წლის 6 თებერვალს, საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის წესი დამტკიცდა პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით, რომელიც, როგორც მედიასაშუალებების წარმომადგენლები და უფლებადამცველები ამბობენ, მნიშვნელოვან შეზღუდვებს უწესებს ჟურნალისტებს. წესი ითვალისწინებს სანქციებსაც ჟურნალისტებისთვის. 2024 წლის 6 ივნისს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც პარლამენტი აღნიშნულ წესს "სადამსჯელო ინსტრუმენტად" იყენებს კრიტიკული მედიის წინააღმდეგ.

"*პარლამენტში მუშაობას გიზღუდავს, კითხვის დასმის საშუალება არ გაქვს. რანაირად არის მედია თავისუფალი, როცა თუ მისთვის სასურველ კითხვას არ უსვამ ხელისუფლების წარმომადგენელს, გატოვებინებენ პარლამენტს?! ამაზე უფრო ცხადი მაგალითი, რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას კრიტიკული კითხვის და მედიის მიმართ, არ არსებობს,*" ამბობს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტი.

"ერთია რომ საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს საჯარო ინფორმაციაზე წვდომის კუთხით ქვეყანაში, მეორე ის, რომ სასამართლო ფაქტობრივად არ იხილავს მედიების და ჟურნალისტების სარჩელებს", ონლაინ მედიის დამფუძნებელი და რედაქტორი.

მიმართეს თუ არა ჟურნალისტებმა დახმარებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციებს, ამ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირია: 39%-მა მიმართა მედიაორგანიზაციას, რომელშიც მუშაობს, 28%-მა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ჟურნალისტების უფლებებს იცავენ, 25% ამბობს, რომ იურისტს/ადვოკატს მიმართა, 16%-მა - სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო 3%-მა მიმართა ფსიქოლოგს. 30%-მა მონიშნა "არცერთი." რესპონდენტების იმ ნაწილმა, რომელმაც მონიშნა არცერთი, ინციდენტის შესახებ განაცხადა საჯაროდ - 44%, პრობლემა არ ჩათვალა სერიოზულად და გადაწყვიტა დახმარებისთვის არ მიემართა - 32%-მა, ხოლო 24% აღნიშნავს, რომ არავისთვის მიუმართავს, რადგან ფიქრობდა, რომ ვერ დაეხმარებოდნენ.

თუ შეგემთხვათ ზემოთ მოცემული რომელიმე ინციდენტი (ფიზიკური, სამართლებრივი, ონლაინ, ფსიქოლოგიური ან სხვა), მიმართეთ თუ არა დახმარებისთვის (მონიშნეთ ყველა შესაბამისი): (%)



ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, რომელსაც პროფესიული საქმიანობაში ხელი შეუშალეს სამართალდამცავმა ორგანოებმა საპროტესტო აქციის გაშუქებისას, ნიშანდობლივია, რომ გამოძიება დაიწყო პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, "*ისიც კი არ ქნეს, რომ საქმიანობაში ხელშეშლის პუნქტი გამოეყოთ. თან, ჩემ შემთხვევაში ცალსახად იყო ხელშეშლა, კამერაზე ჩანდა პირდაპირ.*"

"უცხოეთის აგენტების შესახებ" კანონის გავლენა და ჟურნალისტების მოლოდინები

"*სუსი ჩვენ წინააღმდეგაა, რომელიც ტელეფონზე გვისმენს, პოლიცია ჩვენ წინააღმდეგ არის, რომელიც არაფერში არ გვიცავს, პარლამენტის მაღალი რანგის წევრი გვემუქრება, თავ-პირს გაგიერთიანებთო და სახელმწიფო სტრუქტურები რუსული კანონით მოგვადგნენ,*" ონლაინ მედიის რედაქტორი.

როგორც ინტერვიუებში, ასევე გამოკითხვაში ჟურნალისტები მრავალ სხვადასხვა პრობლემას ასახელებენ, რაც "უცხოეთის აგენტების" კანონის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს, რაც მათი მხრიდან დაუცველობის განცდას ამძაფრებს. ყველაზე მნიშვნელოვან პრობ-ლემად საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობის შენარჩუნებაა.

"როცა მთელი რესურსი გადმორთული გვაქვს იქითკენ, როგორ გადავრჩეთ, ვერ ვაკეთებთ მთელ რიგ საგამოძიებო მასალებს, მთელი ყურადღება იქეთ გვაქვს. ეს იყო ხელისუფლების მიზანი, რომ ჩვენი დღის წესრიგი ეს გამხდარიყო და ნაკლები ძალისხმევა მიმართულიყო მათი დანაშაულებრივი საქმიანობის გასაჯაროებისკენ", ამბობს ონლაინ მედიის დამფუძნებელი და რედაქტორი.

კიდევ ერთი ონლაინ მედიის მთავარი რედაქტორი კი აღნიშნავს: *“ახლა, როცა მედიამ კრიტიკული როლი უნდა შეასრულოს მოქალაქეების ინფორმირებაში, მედია ხვდება ისეთი გამოწვევებით, ისეთი პრობლემებით, როცა მან შეიძლება ამისი სათანადოდ შესრულება ვერ შეძლოს - ესაა უსაფრთხოება, რესურსები, როგორი გარემო იქნება მედიის წარმომადგენლებისთვის.”*

რესურსების შეზღუდვის გზით მედიის შევიწროებაზე საუბრობს ჩვენი რესპონდენტი ერთი-ერთი ტელეკომპანიიდანაც: *“სწორედ ამის გამო გაცხადებენ აგენტად, მთელი იდეა ხომ ის არის, რომ ჩვენ მოვგუდულიყავით და ამოსუნთქვის საშუალება არ გვქონოდა და ჩვენს ევროპელ მეგობრებს არ ჰქონოდათ იმის უფლება რომ დაგვხმარებოდნენ.”*

რესპონდენტების თქმით, წლების განმავლობაში ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულმა პროპაგანდამ ხელი შეუწყო ამ პროფესიის, როგორც “არასახარბიელო”, “სახიფათო” პროფესიად ჩამოყალიბებას საზოგადოების ცნობიერებაში და შესაბამისად, ჟურნალისტიკიდან კადრების გადინებას. *“ახალგაზრდებმაც მიიღეს ის, რომ არ უნდათ ჟურნალისტიკა, არ უნდათ ამ პროფესიით მუშაობა”*, ამბობს რეგიონული ონლაინმედიის რედაქტორი.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულ ჟურნალისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას მოლოდინი აქვს, რომ კანონის ამოქმედება როგორც ფინანსური, ისე - ფიზიკური თუ ციფრული საფრთხეების, ხელისუფლების მხრიდან დაშინებისა და შევიწროების გაძლიერებას გამოიწვევს, ისინი ხაზს უსვამენ, რომ "*მაინც მოტივაცია გვაქვს მუშაობის და სურვილი, ვაგრძელებთ გაზრდილი რისკების ფონზე. [ზეწოლა] პირიქითაც კი მოქმედებს, რომ ესე იგი რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს ვაკეთებთ,*" აღნიშნავს ერთ-ერთი ონლაინ მედიის ჟურნალისტი.

როგორ შეაფასებდით თქვენი მხრიდან უსაფრთხოების განცდას კანონის მიღების შემდეგ? (%)



რესპონდენტების 65% საკუთარი თავი ძალიან დაუცველად, 23%-ს კი დაუცველად მიაჩნია კანონის მოქმედების ფონზე. დაუცველობის განცდა ერთნაირად მაღალია თბილისშიც (63%) და რეგიონებშიც (69%).

გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობისთვის მოსალოდნელია ისეთი საფრთხეები, როგორიცაა ფინანსური პრობლემები (87%), ხელისუფლების მხრიდან შევიწროება/დაშინება (84%), ციფრული საფრთხეები (82%), სახელმწიფოს მხრიდან ცენზურა (79%), ფიზიკური საფრთხეები (71%), საზოგადოების მხრიდან შევიწროება (69%) და სამსახურის დაკარგვა (69%). ყველაზე ბევრმა რესპონდენტმა (33%) აღნიშნა, რომ შეუძლებელია თვითცენზურა მათ რამენაირად შეეხოთ.

რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი კანონის ამოქმედების შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები შეგეხოთ თქვენ პირადად? (%)



კიდევ ერთი ჟურნალისტი ასევე მიანიშნებს პროფესიისადმი საკუთარ დამოკიდებულებაზე, როდესაც გვიზიარებს: "*არის შემთხვევები, რომ მეშინია, სპეცნაზი [სპეცდანიშნულების რაზმი] რომ მოდის, და რეზინის ტყვიები აქვთ, შიში მაქვს, მაგრამ არასდროს არ მიფიქრია, რომ გავქცეულიყავი, მიყვარს ჩემი პროფესია. მაგას ჩემზე გავლენა არ ჰქონია.*"

საკუთარი საქმისადმი ერთგულება უბიძგებს მედიას ზეწოლის მიმართ მედეგობისკენ:"*რა ძალითაც მოგვაწვებიან, იმ ძალითვე მივაწვებით,*" ამბობს ონლაინ მედიის რედაქტორი. ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტი კი აღნიშნავს: *"თუ შიშს აჰყვები უნდა გაიქცე, დაიმალო, დანებდე და მე ეს შიში გადალახული მაქვს."*

არსებული საფრთხეების ფონზე ჟურნალისტები მიანიშნებენ ურთიერთთანამშრომლობის მნიშ-ვნელობაზე: *"ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ამ პერიოდში სოლიდარობა, უნდა ვიყოთ სოლიდარულები,"* ამბობს ონლაინ მედიის რედაქტორი.

ინტერვიუებში ჟურნალისტები ხშირად ხაზს უსვამენ აუდიტორიისა და ზოგადად საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერას, როგორც ერთ-ერთი ონლაინ მედიის რედაქტორი აღნიშნავს, *"...მართალია კანონი მიიღეს, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ჩვენსკენ არის..."*

ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, "*აუდიტორიაც გაიზარდა ჩვენი [...] ხალხი უფრო მეტად*

მხარს გვიჭერს, უფრო მეტი პატივისცემა და პოზიტიური განწყობა დამინახავს. [...] მგონია, რომ გადამეტებული აგრესია იყო ხელისუფლების მხრიდან და ამანაც მოიტანა. შეურაცხყოფაზე და ლანძღვაზე რომ გადმოდის, ხალხის განწყობაც იცვლება და ურო სოლიდარობა იზრდება."

"*ამ რუსულმა კანონმა მართლა გამომაფხიზლებელი ეფექტი იქონია და გამრავლდნენ უფრო ეს ადამიანები [აუდიტორია], შეტყობინებებიც, შინაარსიც რასაც ვიღებ ძალიან გახშირდა, ძალიან მოიმატა და ხალხი რას არ გვწერს. მოკლედ, რა კარგია რომ არსებობთ და კარგია და კმაყოფილები არიან და ბედნიერები იმით, რომ ჩვენ ვმაუწყებლობთ,*" ამბობს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტი.

შეჯამება

ეს კვლევა ხაზს უსვამს მედიის თავისუფლების მკვეთრ გაუარესებას საქართველოში 2024 წლის არჩევნების წინ. კრიტიკული მედიასაშუალებების წარმომადგენელ ჟურნალისტებს უპრეცედენტოდ მტრულ გარემოში უწევთ მუშაობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ "უცხოეთის აგენტების" კანონის შემოღებამ მხოლოდ გააღრმავა აქამდე არსებული კრიზისი, რაც ქვეყანაში ზოგადად სიტყვის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ჩახშობის მცდელობის უფრო ფართო ტენდენციის ამსახველია.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ჟურნალისტების უმრავლესობა თავს ძალიან დაუცველად გრძნობს. ფიზიკური ძალადობა, დისკრედიტაცია, ინფორმაციის შეზღუდვა და ფარული მიყურადება ყოველდღიური რეალობის ნაწილი გახდა მათთვის, ვისაც ძალაუფლებაში მყოფთა პასუხისმგებლობის დაყენების ვალდებულება აქვს. ეს მოცემულობა არ შემოიფარგლება კონკრეტული რეგიონით ან მედიასაშუალების ტიპით, არამედ იგრძნობა ყველგან, რაც ხაზს უსვამს პრობლემის სისტემურ ხასიათს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის მომავალი საფრთხის ქვეშაა, თუმცა მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ჟურნალისტები მზად არიან მოქმედებისთვის და საზოგადოების წინაშე საკუთარი ვალდებულებების შესრულებისთვის, რაც წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისთვის.

წყაროები

„პარლამენტმა 'აგენტების' კანონპროექტი ჩააგდო.“ რადიო თავისუფლება, 10 მარტი 2023, https://www.radiotavisupleba.ge/a/32311562.html.

"Georgian Parliament Passes ‘Foreign Agent’ Law Despite Widespread Opposition." Committee to Protect Journalists, 14 May 2024, https://cpj.org/2024/05/georgian-parliament-passes-foreign-agent-law-despite-widespread-opposition/

Gavin, Gabriel. "Georgia Defies EU and Backs Law Targeting ‘Foreign Agents’." Politico, 14 May 2024, https://www.politico.eu/article/georgia-parliament-pass-foreign-agent-russian-law-amid-pro-eu-protest-crackdown-tbilisi/

"პარლამენტმა „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია." Civil.ge, 28 May 2024.

„რა არის რუსული კანონი და რა საფრთხეს უქმნის საქართველოს? – 2024 წლის განახლება.“ აი, ფაქტი, 30 მაისი 2024, https://ifact.ge/რა-არის-რუსული-კანონი/.

"Georgia: New Attempts to Introduce a ‘Foreign Agent’ Law Threaten Freedom of Expression."Article 19, 11 Apr. 2024, https://www.article19.org/resources/georgia-new-attempts-to-introduce-a-foreign-agent-law-threaten-freedom-of-expression/

„ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების საქართველოსთან დაკავშირებული ნაწილი.“ ბრიუსელის დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი, 28 ივნისი 2024, https://shorturl.at/JIsBO

„სპეცრაზმი ონლაინ მედიის ჟურნალისტებს ფიზიკურად გაუსწორდა.“ Civil.ge, 17 აპრილი 2024, https://civil.ge/ka/archives/599437

თარხნიშვილი, ნინო, და თამარ ზანთარაია. "ტერორი „მარწყვის არომატით“ - გინებისა და მუქარის ახალი ტალღა." რადიო თავისუფლფება, 3 ივნისი 2024, https://shorturl.at/udQ3J

Smeltzer, Mike, and Alexandra Karppi. "Nations in Transit 2024: A Region Reordered by Autocracy and Democracy." Freedom House, 2024, https://freedomhouse.org/report/nations-transit/2024/region-reordered-autocracy-and-democracy.

“მელაძე, ნოდარ:112-ს თავდასხმის საფრთხეზე ვაცნობეთ, პოლიცია TV პირველში არ მოვიდა.“ საქართველოს ამბები, 10 მაისი 2024, https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/112-s-tavdaskhmis-saprtkheze-vatsnobet-politsia-tv-pirvelshi-ar-movida-nodar-meladze.

„2021 წლის 5 და 6 ივლისის მასშტაბური ძალადობის ორგანიზატორთა გამოვლენა და დასჯა ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების

ინსტიტუტი, 5 ივლისი 2022, https://idfi.ge/ge/statement_of_media_advocacy_coalition_3234.

„2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენების ორგანიზატორები 3 წლის შემდეგაც დაუსჯელები არიან.“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 5 ივლისი 2024, https://gyla.ge/ge/post/2021-tslis-5-6-ivliss-ganvitarebuli-movlenebis-organizatorebi-3-tslis-shemdegac-dausjelebi-arian.

ცქიფურიშვილი, ნათია. „ნინო ზურიაშვილის მანქანა დააზიანეს და სახლის ფასადზე გააკრეს სიძულვილის პლაკატები.“ ნეტგაზეთი, 10 მაისი 2024, https://netgazeti.ge/news/721899/.

„IDFI-ის დირექტორსა და „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ.“ Civil.ge, 7 მაისი 2024, https://civil.ge/ka/archives/604446.

„ზარები, თავდასხმები, წარწერები და დაკავებები - რატომ არის პროტესტის ჩახშობის ეს გზა რუსული“. აპრილი მედია, 10 მაისი, 2024, https://shorturl.at/5Y7mv

ბასილაია, ეკატერინე, მამუკა ანდღულაძე, ნინო ნარიმანიშვილი, მანონი ბოკუჩავა, ხატია ყურაშვილი, დეა მანაგაძე და ანა ქეშელაშვილი. „საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.“ 2023-2024, https://drive.google.com/file/d/1DqZkhTnBTrXQRirtyQyES67-uZpLqdc9/view.

„მედიაგარემო საქართველოში 2020.“ მედიის ადვოკატირების კოალიცია, 2020, http://mediacoalition.ge/ge/a/977d80a0.

ცქიფურიშვილი, ნათია. „მედიის შეზღუდვა პარლამენტში „ოცნების“ კომფორტისთვის.“ ნეტგაზეთი, 9 თებერვალი 2023, https://netgazeti.ge/life/653815/.

„საქართველოს პარლამენტი დევნის და უპირისპირდება ჟურნალისტებს კრიტიკული მედიასაშუალებებიდან.“ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 6 ივნისი 2024, https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/97854.